თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 5 თებერვლის
მორიგი სხდომის
ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 5 თებერვალი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2.დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ბადრი ბუცხრიკიძე, 9. ჯემალ ისაკაძე, 10. ელისო მურადაშვილი, 11. მანუჩარ ფანჩულიძე, 12. შალვა ჭანკვეტაძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. ივანე ჩუბინიძე, 16. ლაშა გურგენიძე, 17. ომარი ჯიხვაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. თამარ ახვლედიანი, 4. ფრიდონი გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. კობა კირკიტაძე, 8. მერაბი ბასილაძე, 9. ტარიელ ფანჩულიძე, 10. რუსუდან კოვზირიძე, 11. როლანდი მესხი, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ნინო მახათაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 17 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.
მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

ა(ა)იპ დემოკრატიის სასწავლო ცენტრის დირექტორი ალექსანდრე ბუცხრიკიძე

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 30სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282503534 წერილი, 04.02.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28250305, 30.01.2025 წ.);

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282503494, 03.02.2025 წ.).

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით და შეადგენს 29835.6 ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. გრანტი გაიზარდა 690.0 ათასი ლარით, სოფლის განვითარების პროექტები. სხვა შემოსავლები გაიზარდა 400.0 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. მ/შორის:
გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 400.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 690.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №2. 05.02.2025).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის მოსარგებლეთა კატეგორიას ემატება ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველლია და ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.29250362, 05.02.2025).

3.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. ამასთან, ამავე კანონით დადგენილია, როგორც ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანოების ისე ცალკეული უწყებების, მათ შორის მუნიციპალიტეტის ორგანოების ცალკეული ვალდებულებები კანონით განსაზღვრულ სფეროში.

კანონი ასევე ადგენს, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო სერვისების, სტანდარტებისა და რეგულაციების შემუშავებასა და დანერგვას, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირთა, ასევე იმ პირთა მონაწილეობა, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასთან და მათი პირობების გაუმჯობესებასთან.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №29.2925036001, 05.02.2025).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი